ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 650

"20" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3/ვ. ნინუას ქ. №3-ში მდებარე №154 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.154) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. №35-ის მიმდებარედ №17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.017) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3/ვ. ნინუას ქ. №3-ში მდებარე №154 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.154) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. №35-ის მიმდებარედ №17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.017) *პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების* თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 ნოემბრის №24.1998.2241 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3/ვ. ნინუას ქ. №3-ში, „ა" ბლოკი, მე-15 სართულზე მდებარე 76.60 კვ.მ. ფართობის №154 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.154) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. №35-ის მიმდებარედ, I ბლოკში მე-5 სართულზე მდებარე 65.40 კვ.მ. ფართობის №17 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.017) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ცინარი კოპაძისთვის (პ/ნ. 65502015198) საკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, *სიმბოლურ ფასად* - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე